

„ხადის ხეობის განაშენიანების გეგმის პროექტისა და შესაბამისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის“

საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

შეხვედრის ადგილი

ქალაქი დუშეთი მის: რუსთაველის ქ. N27

შეხვედრის თარიღი

13/05/2024 წ.

შეხვედრის დაწყების დრო

13:00 სთ.

შეხვედრის დასრულების დრო

15:00 სთ.

ღონისძიების დამგეგმავი ორგანო

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ბატონი ზურაბ წიკლაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: კახაბერ ნიაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ურბანული პროექტების უფროსი კოორდინატორი- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- გიორგი ცაგარეიშვილი.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- გიორგი არჩაია.

პროექტს საზოგადოებისათვის გაეცნობის მიზნით პრეზენტაციას უძღვებოდნენ:

მიმა ბალიაშვილი შპს „ბაუ დიზაინი“-ს დირექტორი, არქიტექტორი/ქალაქმგეგმარებელი

კახა ბახტაძე პროექტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები:

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ბატონი ზურაბ წიკლაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: კახაბერ ნიაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ურბანული პროექტების უფროსი კოორდინატორი- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- გიორგი ცაგარეიშვილი.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- გიორგი არჩაია.

სსიპ-გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი - მარი გელაშვილი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო-სოფიო ჭელიძე.

სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტო-რატი ზედგენიძე.

სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო-მარიამ კოროშინაძე.

შემსრულებელი კომპანია - შპს „ბაუ დიზაინი“-ს წარმომადგენლები - მიმა ბალიაშვილი, კახა ბახტაძე, ლევან ბაზაძე, მირანდა გულბანი და ანა ნაცვლიშვილი.

განხილვას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

აღნიშნული ცვლილების პროექტის საჯარო განხილვის საფუძველი:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლები.

განხილვის მიზანი:

- ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის პროექტისა და შესაბამისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
- საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა;
- შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება;

საჯარო განხილვის მსვლელობა

საჯარო განხილვა დაიწყო დათქმულ დროს (13:00 სთ). გახსნითი სიტყვა წარმოთქვა: სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ბატონმა ზურაბ წიკლაურმა. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო ინფორმაცია ხადის ხეობის განვითარების მნიშვნელობაზე და ასევე დამსწრე საზოგადოებას განუმარტა ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურები, გააცნო შენიშვნების წარმოდგენის ვადები და აღნიშნა თუ როგორი მნიშვნელოვანია საჯარო განხილვის პროცესში მოსახლეობის მაღალი ჩართულობა.

გახსნითი სიტყვის შემდეგ ისაუბრეს შემსრულებელი კომპანიის - შპს „ბაუ-დიზაინი“-ს წარმომადგენლებმა: მიმა ბალიაშვილმა და კახა ბახტაძემ. მათ საზოგადოებას დეტალურად გააცნეს აღნიშნული პროექტი. განაშენიანების გეგმა, ახალი რეალობის გათვალისწინებით ხადის ხეობის დაგეგმილი და მდგრადი განვითარების მიზნით, განსაზღვრავს განვითარების პოტენციური მიმართულების ჩარჩო-პირობებს, რომელიც პასუხობს ადგილობრივი მოსახლეობის, მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კანონის (სივრცითი დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის) მოთხოვნებს. ასევე განიხილეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად მომზადებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რომელიც მიზნად ისახავდა განაშენიანების გეგმის განხორციელების არეალში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, სგმ-ის ანგარიში მოიცავდა:

- ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, ამოცანებისა და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირის შესახებ;
- იმ არეალში, რომელზედაც სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის არსებული მდგომარეობის ზოგად შეფასებას;
- გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი ასპექტების ზოგად ანალიზს იმ ტერიტორიისთვის, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვან ზემოქმედებას დაექვემდებაროს;
- ზოგად საპროგნოზო ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ;
- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებების მოკლე აღწერას; განხილული ალტერნატივების დასაბუთებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს; სგმ-ის ანგარიშის არატექნიკურ რეზიუმეს.

ასევე საპროექტო ჯგუფმა დამატებით წარადგინა ხადის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი გეგმა, რომელიც წარმოადგენს გზამკვლევისა და საფუძველს გგ-ს პროექტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების კუთხით.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და დადებითად შეაფასეს ხადის ხეობის განაშენიანების გეგმის პროექტითა და შესაბამისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი საკითხები.

შეასრულა

თველე საკანდილიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე
ბატონი ზურაბ წიკლაური

